



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი

დ. ხულო ტბელ აბუსერისძის ქ. N1

ტელ: 7 00 72

N 445
02/07/2018

445-09-4-201807021439



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე სასტუმროს მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი 23.14.36.454) ნებართვის გაცემის შესახებ

2018 წლის 27 ივნისს შპს „ბათმშენი - 2007“-ის №6578/09 განცხადების საფუძველზე დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე სასტუმროს მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 23.14.36.454) ნებართვის გაცემის თაობაზე.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილია „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე, მე-XII-ე და მე-XVI-ე თავებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დაკმაყოფილდეს შპს „ბათმშენი - 2007“-ის მოთხოვნა და გაცემული იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში, გოდერძის უღელტეხილზე სასტუმროს მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 23.14.36.454) ნებართვა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-ე“ ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-VIII-ე თავის 37-ე მუხლის, მე-XI-ე თავის, ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გურამ დეკანაძის 2018 წლის 29 ივნისის №1503-09 მოხსენებითი ბარათისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1) დაკმაყოფილდეს შპს „ბათმშენი - 2007“-ის მოთხოვნა და გაცემულ იქნას ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ დანისპარაულში,

გოდერძის უღელტეხილზე სასტუმროს მშენებლობის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 23.14.36.454) ნებართვა;

2) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურისა და ურბანული დაგეგმარების სამსახურს (გ. დეკანაძე) უზრუნველყოს მშენებლობის სანებართვო მოწმობის გაცემასთან დაკავშირებული პროცედურის განხორციელება;

3) მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს მშენებლობის ორგანიზაციის პროექტსა და სამუშაოების განხორციელების კალენდარულ გრაფიკში მოცემული ვადები;

4) მშენებლობის სანებართვო მოწმობაში გაწერილ იქნას შენობა-ნაგებობის კლასის შესაბამისი სანებართვო პირობები;


5) დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატს (ა. ბოლქვაძე) ბრძანების ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.khulo.ge) ატვირთვა და შესაბამისი სამსახურ(ებ)ისათვის წინამდებარე ბრძანების გადაცემა;

6) ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ხულოს მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს - ლაშა ბოლქვაძეს;

7) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხულოს მაგისტრატ სასამართლოში (მის: დაბა ხულო, აღმაშენებლის ქუჩა №5), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში;

8) ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გოჩა მელაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა